ცხოვრებით კმაყოფილება და აკადემიური მოსწრება სტუდენტებთან

ნინო ქიტოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ქიტოშვილი

თარიღი 20.06.2022

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია, დაადგინოს კავშირი ცხოვრებით კმაყოფილებასა და აკადემიურ მოსწრებას შორის ბაკალავრიატის სტუდენტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატის 130 სტუდენტმა, თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. აკადემიური მოსწრების ქულის დასადგენად 100 ქულიანი მონაცემები გადაყვანილი იქნა GPA-ში. ხოლო, ცხოვრებით კმაყოფილების დასადგენად- სტუდენტების ცხოვრებით კმაყოფილების მრავალგანზომილებიანი სკალა (Multidimensional Students' Life Satisfaction Scale), სადაც კვლევის მონაწილეები აფიქსირებდნენ იმ პასუხს, რომელიც ყველაზე ახლოს იყო მათ მოსაზრებასთან. შედეგებმა აჩვენა, რომ ცხოვრებით კმაყოფილება დადებით კავშირშია სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან. თუმცაღა, რეგრესიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ოჯახით, მეგობრებით და „მე"-თი კმაყოფილება არ არის პრედიქტორი აკადემიური მოსწრების. ხოლო, საცხოვრებელი გარემო და უნივერსიტეტი აკადემიური მოსწრების პრედიქტორებია. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა ასევე სქესს შორის, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ მამრობითი სქესის მონაწილეებს აქვთ უფრო მაღალი ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს. რაც შეეხება სქესებს შორის შედარებას აკადემიური მოსწრების მიხედვით, შედეგებმა აჩვენა, რომ მდედრობითი სქესის მონაწილეებს აქვთ უფრო მაღალი მაჩვენებელი აკადემიური მოსწრების, ვიდრე მამრობითი სქესის მონაწილეებს.

საძიებო სიტყვები: ცხოვრებით კმაყოფილება, აკადემიური მოსწრება, ბაკალავრი, მაგისტრი, ასაკი, სქესი

Abstract

The main purpose of this study is to determine the relationship between life satisfaction and academic achievement in undergraduate students. 130 undergraduate students from different universities in Tbilisi participated in the study. 100-point data was transferred to the GPA to determine academic achievement score. And, to determine life satisfaction — Multidimensional Students' Life Satisfaction Scale, in which study participants recorded the answer that was closest to their opinion. The results showed that life satisfaction is positively related to students' academic achievement. However, regression analysis has shown that satisfaction with family, friends, and the self is not a predictor of academic achievement. And, the living environment and the university are the predictors of academic achievement. Statistical analysis was also conducted between the sexes, which found that male participants had a higher life satisfaction rate than females. As for comparisons between the sexes by academic achievement, the results showed that female participants had a higher rate of academic achievement than male participants.

Key words: Life Satisfaction, Academic Achievement, Bachelor, Master, Age, Gender

მადლობა

პირველ რიგში მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია წერეთელს, რომელიც ყოველთვის მზად იყო დამხმარებოდა. ის მუდმივად მაძლევდა სწორ და დროულ უკუკავშირს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევის სწორად წარმართვისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ სტუდენტს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩემს კვლევაში.